საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნ ი ნ ო დ ა რ სა ვ ე ლ ი ძ ე

ეკონომიკური მდგრადობის შეფასება სატრანსპორტო და მანქანათმშენებელი ფირმების ანტიკრიზისულ მართვაში

სპეციალობა _ დარგობრივი ეკონომიკა და მენეჯმენტი

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი _ 2012

დისერტაცია შესრულებულ იქნა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის სატრანსპორტო დეპარტამენტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი _ **თამარ კილაძე**
სრული პროფესორო

რეცენზენტები: 1. **სრ. პროფესორი მ. ჯულაყიძე**
2. **ასოც. პროფესორი გ. ამყოლაძე**

დისერტაციის დაცვა შედგება 2012 წლის 5 ივსისს 15^{00} საათზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის სადისერტაციო საბჭოს სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე; თბილისი, კოსტავას ქ. №68-ბ, აუდ. $560^{ა}$.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,

ასოც. პროფ. **რ. ველიჯანაშვილი**

I. ნაშრომის საერთო დახასიათება

თემის აქტუალურობა. ერთი ეკონომიკური სისტემიდან მეორე სისტემაზე გარდამავალი ქვეყნისათვის დამახასიათებელია სისტემური კრიზისი, შესაბამისად მის ძირითად პრობლემას წარმოადგენს საწარმოო სფეროში სტაგნაციის და საწარმოების მასიურად გაკოტრების დაძლევა. ამ პრობლემის გადაწყვეტისას, ორიენტაციამ საწარმოთა მასობრივ ლიკვიდაციაზე, რომელთაც ვერ შეძლეს ადაპტაცია ახალ ეკონომიკურ გარემოში, შესაძლებელია გამოიწვიოს მომავალი განვითარების ეკონომიკური პოტენციალის ნგრევა და მატერიალური წინაპირობების მოშლა.

დღეს საქართველოს საწარმოებისათვის აქტუალური ამოცანაა არა გაკოტრებული საწარმოების ლიკვიდაცია, არამედ კრიზისის დაძლევის პრობლემა იმ საწარმოთა საქმიანობაში, რომლებიც შეძლებენ ჩამოყალიბდნენ საბაზრო პრინციპებით და ჩაერთვნენ ეროვნული ეკონომიკის სისტემაში. შესაბამისად, საწარმოო სექტორის რეფორმირების ძირითად მიმართულებას წარმოადგენს გაკოტრებულ საწარმოთა სანაცია და მათი ეკონომიკური მდგრადობის აღდგენის ამოცანა.

„აღორძინებამდე“ პერიოდში მკაცრი იდეოლოგიისა და თეორიული კვლევების შეზღუდულობის გამო შეუძლებელი იყო ქვეყნის საწარმოების დეგრადაციის მიზეზების დასაბუთება, მათი გაკოტრების ობიექტური კანონზომიერებების გამოვლენა და მათი დაძლევის ადექვატური ხერხების შემუშავება.

საქართველოს კანონი გაკოტრების შესახებ გაკოტრებას განსაზღვრავს როგორც გადახდისუუნარობას, თუმცა თავად გადახდისუნარიანობის ფაქტი შეიძლება იყოს სხვადასხვა მოვლენების ურთიერთკავშირის შედეგი.

უნდა აღინიშნოს, რომ გაკოტრება იურიდიული აქტია, მაგრამ მას საფუძვლად უდევს ფინანსური მიზეზები. საწარმოთა გაკოტრებამ მასობრივი ხასიათი მიიღო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, თუ 1998 წელს ქვეყანაში ფუნქციონირებდა 3581 სამრეწველო საწარმო, 2008 წლისათვის ეს მაჩვენებელი შემცირებულია 2798 ერთეულამდე, შესაბამისად მომუშავეთა საშუალოწლიური რიცხოვნობა 120.7 ათასი კაციდან შემცირებულია 85.7 ათას კაცამდე. ეკონომიკური კრიზისი და მძიმე ფინანსური მდგომარეობა შეიქმნა ქვეყნის მანქანათმშენებლობის საწარმოებშიც. დღემდე დარგი ღრმა კრიზისს განიცდის. 1990 წლიდან მოყოლებული საქართველოს

მანქანათმშენებლობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. ამ პერიოდიდან თანდათანობით შემცირდა წარმოების მოცულობა, 2008 წელს მან 1990 წლის მხოლოდ 15.3% შეადგინა. მრეწველობის პროდუქციის საერთო მოცულობაში მანქანათმშენებლობის ხვედრითი წილი 6.9%-მდე დაეცა. როგორც ირკვევა, დარგში სახეზეა ღრმა ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი, რაც კიდევ უფრო ზრდის სადისერტაციო თემის აქტუალობას.

როგორც ჩანს, ანტიკრიზისული მართვის პრობლემა მწვავე ხასიათს იღებს და საჭიროებს კომპლექსური მიდგომით განხილვის აუცილებლობას.

კვლევის საგანია საწარმოთა გაკოტრების, მისი გაჯანსაღების საკითხები. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია საწარმოთა ფინანსური მდგრადობის საკითხების შესწავლაზე.

სადისერტაციო თემის შესაბამისად უმთავრესად გამოკვლეულია და შეფასებულია ეკონომიკური მდგრადობა საქართველოს ერთ-ერთ უმსხვილეს საწარმოს სს „ელმავალმშენის“ მაგალითზე, შესწავლილია ეკონომიკურ მდგრადობაზე მომქმედი ფაქტორები.

პრობლემის შესწავლის მდგომარეობა. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში გაკოტრების თანამდევი ასპექტები უკანასკნელ პერიოდამდე მხოლოდ ფრაგმენტულადაა გამოკვლეული. ამ თემაზე უცხოელი ავტორების მიერ გამოქვეყნებულია ცალკეული მონოგრაფიები და სტატიები. აღნიშნული საკითხის კვლევაში განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგ ავტორთა შრომები: ვ.შევჩენკო, ე.კოროტკოვი, ს.ბელიაევი, ვ.კოშკინი, ბ,რაიზბერგი, ნ.მაზური, ვ.შაპირო და სხვ. აღსანიშნავია ასევე ქართველ სწავლულთა ნაშრომები: რ.კაკულია, ლ.ბახტაძე, გ.თუთბერიძე, დ.იაკობიძე და სხვ.

კვლევის მიზანი და ძირითადი ამოცანები. სადისერტაციო თემის კვლევის მიზანია საწარმოთა ანტიკრიზისული მართვის თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტების შემუშავება.

კვლევის მიზნის შესაბამისად დისერტანტმა დაისახა შემდეგი ამოცანები:

1. საწარმოს ეკონომიკურ მდგრადობაზე მომქმედი ფაქტორების შესწავლა და გამოვლენა;
2. საწარმოს ეკონომიკური მდგრადობის კომპლექსური დიაგნოსტიკის ჩატარება კონკრეტულ მაგალითზე;
3. ანტიკრიზისული მართვის დიაგნოსტიკის მეთოდიკის შემუშავება;
4. მეთოდური დასკვნებისა და პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე საწარმოს ანტიკრიზისული მართვის გაუმჯობესების ღონისძიებების დასახვა;

ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს შემდეგში:

_ სისტემატიზირებულია მეცნიერულად და პრაქტიკულად გამომუშავებული ანტიკრიზისული მართვის კონცეპტუალური აზრები და განსაზღვრებები;
_ განსაზღვრულია საწარმოთა ანტიკრიზისული მართვის რეალური მდგომარეობა, თანამედროვე ტენდენციები და მასზე მომქმედი ფაქტორები;
_ დაზუსტებულია საწარმოთა ეკონომიკური მდგრადობის შეფასების მაჩვენებელთა სისტემა;
_ შემუშავებულია საწარმოში ანტიკრიზისული მართვის დიაგნოსტიკის მეთოდიკა;
_ ჩატარებულია სს „ელმავალმშენის“ ეკონომიკური მდგრადობის მოდელირება.

სადისერტაციო ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი საწარმოთა გაკოტრებისა და ანტიკრიზისული მართვის თეორიის შემდგომი გაღრმავებაა. მისი შედეგების გამოყენება შესაძლებელია საწარმოთა გაკოტრების პრობლემის შემდგომი შესწავლისათვის და გაღრმავებისათვის. გარდა ამისა, ნაშრომი ანტიკრიზისული მართვის თეორიულ კვლევაში ხარვეზების შევსებისა და ამ სფეროში რთული ამოცანების რეალიზაციის პრაქტიკული მიდგომების მცდელობაა. წარუმატებელ საწარმოთა გადარჩენა საჩქარო საქმეა, ამიტომ თანამედროვე ეკონომიკური პროცესების შესახებ ცოდნის სისტემატიზაციისათვის სპეციალისტებს შეუძლიათ გამოიყენონ წინამდებარე ნაშრომის დასკვნები.

სადისერტაციო ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. დისერტაციის მასალები შესაძლებელია გამოიყენონ სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის საწარმოებმა მათი ეკონომიკური მდგრადობის განსაზღვრის თვალსაზრისით. ასევე კვლევის მასალები შეიძლება შეტანილ და გამოყენებულ იქნას უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრიატის და მაგისტრების სალექციო კურსში და პრაქტიკული მეცადინეობებისათვის.

სადისერტაციო ნაშრომის აპრობაცია და პუბლიკაციები. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები გამოქვეყნდა სამეცნიერო სტატიების სახით. ასევე მოხსენებული იქნა საერთაშორისი-პრაქტიკულ კონფერენციებზე.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა. სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 156 გვერდს. იგი შედგება შესავლის, ორი თავის, დასკვნებისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან. ნაშრომში წარმოდგენილია 22 ცხრილი და 10 ნახაზი.

შინაარსი

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

1.1. ეკონომიკური მდგრადობის არსი, მნიშვნელობა და პრობლემები თანამედროვე ეტაპზე

1.2. საწარმოს ეკონომიკური მდგრადობის შეფასება, მასზე მომქმედი ფაქტორები და ანტიკრიზისული მართვა

1.3. წარუმატებელი საწარმოს გაჯანსაღების საინვესტიციო ასპექტები და რესტრუქტურიზაცია

თავი II. შედეგები და მათი განსჯა

2.1. საქართველოს სატრანსპორტო და მანქანათმშენებელი საწარმოების ზოგადი დახასიათება

2.2. საწარმოს ეკონომიკური მდგრადობის დიაგნოსტიკა და მდგრადობის მაჩვენებელთა გამოყენება ს.ს. "ელმავალმშენის" მაგალითზე

2.3. ორგანიზაციაში კრიზისების მართვის დიაგნოსტიკის მეთოდიკა

2.4. ეკონომიკური მდგრადობის მათემატიკური მოდელირება

2.5. ანტიკრიზისული მართვის გაუმჯობესების ღონისძიებები

დასკვნა

გამოყენებული ლიტერატურა

II. დისერტაციის მოკლე შინაარსი

პირველ თავში _ შესწავლილია და გაანალიზებულია პრობლემის ირგვლივ არსებული სპეციალური ლიტერატურა, ცალკეული პუბლიკაციები. ნაშრომში წარმოდგენილია ეკონომიკური მდგრადობის არსი, მნიშვნელობა და პრობლემები თანამედროვე ეტაპზე, ასევე საწარმოს ეკონომიკური მდგრადობის შეფასება, მასზე მომქმედი ფაქტორები და ანტიკრიზისული მართვა, წარუმატებელი საწარმოს გაჯანსაღების საინვესტიციო ასპექტები და რესტრუქტურიზაცია. ახსნილია., რომ საწარმო თავისი დაარსების მომენტიდან მრავალი სახის პრობლემებს აწყდება, რომლებიც მწვავე კრიზისს განავითარებენ, შედეგად უარესდება სამეურნეო საქმიანობის ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა: ლიკვიდობა, გადახდისუნარიანობა, საბრუნავ საშუალებათა ბრუნვადობა, ფინანსური მდგრადობა. მწვავე კონკურენციის პირობებში მეურნეობრიობის საბაზრო ფორმები აკონტროლებენ ცალკეულ სუბიექტებს ან დროებით გადახდისუუნაროს ხდიან მათ.

საწარმოთა გაკოტრებამ მასიური ხასიათი მიიღო გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან. როგორც ანალიზმა გვიჩვენა, ეს მოვლენა განსაკუთრებით დამანგრეველი აღმოჩნდა მრეწველობის სფეროსათვის, მათ შორის მანქანათმშენებლობის საწარმოებისათვის. აღსანიშნავია, რომ 90-იან წლებამდე მრეწველობის სფერო ქვეყნის ბიუჯეტის შევსების ძირითადი წყარო იყო. მთელ ბიუჯეტში მისი წილი 50%-ზე მეტს შეადგენდა. მასზე მოდიოდა ქვეყნის ეროვნული შემოსავლის 36.7%, ეროვნული მეურნეობის მთელი ძირითადი ფონდების 32.8% და საბრუნავი საშუალებების 34.3%. მრეწველობაში დასაქმებული იყო 500 ათას მუშაკზე მეტი .

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1990 წლებიდან მოყოლებული საქართველოს მანქანათმშენებლობის სფეროში მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა და დღეს სახეზეა ღრმა ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი. გაირკვა, რომ მრეწველობის საწარმოებში წარმოებისა და შესაბამისად რეალიზაციის მოცულობის მკვეთრად შემცირებამ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კვალდაკვალ ფინანსურ სფეროში წარმოქმნა ისეთი ახალი მოვლენა, როგორიცაა საწარმოთა გაკოტრება.

გაკოტრება იურიდიული აქტია, მაგრამ მას საფუძვლად ფინანსური მიზეზები უდევს, რომელთა შორისაა:

1. კორპორაციის ფინანსური მდგრადობის სერიოზული დარღვავა, რომელიც ხელს უშლის მის სამეურნეო საქმიანობას;
2. დროის შედარებით ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე კორპორაციის ფულადი ნაკადების მოცულობათა საგრძნობი დაუბალანსებულობა;
3. კორპორაციის გადახდისუუნარობის გახანგრძლივება, რომელიც გამოწვეულია მისი აქტივების დაბალი ლიკვიდობით.

აღნიშნულის გამო, მრეწველობის დარგში პირველი რიგის ამოცანაა საწარმოთა ფინანსაების განმტკიცება და ამის საფუძველზე სახელმწიფო ფინანსების სტაბილიზაცია. ამ აქტის განხორციელებისათვის აუცილებელია საწარმოში კრიზისული დიაგნოსტიკის ჩატარება

ქვეყანაში გამწვავდა საწარმოთა გადაუხდელობის პრობლემა, გაიზარდა წარუმატებელი საწარმოების რიცხვი, საწარმოთა დიდი ნაწილი გაკოტრების და ლიკვიდაციის საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ, სწორედ ამ პერიოდში, 90-იან წლებში დამკვიდრდდა ტერმინი „ანტიკრიზისული მართვა“. მიგვაჩნია, რომ ერთის მხრივ, ანტიკრიზისული მართვა ხასიათდება როგორც განზოგადებული ცნება, რომელიც ნიშნავს მმართველობითი მეცნიერების ახალ მიმართულებას და რომელიც დაკავშირებულია იმ მეთოდებისა და ხერხების შესწავლასთან, რომლებიც შესაძლებლობას იძლევიან თავიდან ავიცილოთ გაკოტრება. მეორეს მხრივ, იგი განიმარტება, როგორც მიკროეკონომიკური პროცესი, რომელიც წარმოადგენს კონკრეტულ საწარმოს მიმართებაში ანტიკრიზისული პროცესების რეალიზაციის ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობას.

90-იანი წლების მეორე ნახევარში სიტუაციამ დაამტკიცა, რომ საწარმოების წარუმატებლობის გადალახვა შეიძლება მხოლოდ მათი რესტრუქტურიზაციის გზით. რესტრუქტურიზაცია მნიშვნელოვან ინვესტიციებს მოითხოვს, ამიტომ წარმატებული რესტრუქტურიზაციის განსახორციელებლად აუცილებელი წინაპირობაა ჯანსაღი და მაღალკაპიტალიზებული საბანკო სისტემის არსებობა. თავის მხრივ, რესტრუქტურიზაციის წარმატებით განხორციელებაზე დიდადაა დამოკიდებული თვით ბანკების ფინანსური პერსპექტივა.

საწარმოთა რესტრუქტურიზაცია მხოლოდ საბაზრო ეკონომიკაზე გადამსვლელი ქვეყნებისათვის არ არის დამახასიათებელი. იგი მუდმივ კომპლექსურ პროცესს წარმოადგენს. მსოფლიოს ყველა ქვეყნის საწარმოები იძულებულნი არიან განახორციელონ რესტრუქტურიზაცია, რათა მუდმივად ცვლად ეკნომიკურ გარემოში, სადაც ადგილი აქვს ტექნოლოგიურ განვითარებას და სხვა საწარმოებთან კონკურენციას, შეინარჩუნონ

მათთვის სასურველი, ან უბრალოდ მინიმალურად აუცილებელი რენტაბელობის დონე.

საწარმოთა რესტრუქტურიზაციაში ტრადიციულად ოთხ ძირითად კომპონენს გამოყოფენ, ესენია: პოლიტიკური რეფორმაცია, მართვის სრულყოფა, საქმიანობის რესტრუქტურიზაცია და ფინანსური რესტრუქტურიზაცია. აქედან პირველი სამი ოპერატიული რესტრუქტურიზაციის სახელით არის ცნობილი.

დღეს საქართველოს საწარმოებისათვის აქტუალური ამოცანაა არა გაკოტრებული საწარმოების ლიკვიდაცია, არამედ კრიზისის დაძლევის პრობლემა იმ საწარმოთა საქმიანობაში, რომლებიც შეძლებენ ჩამოყალიბდნენ საბაზრო პრინციპებით და ჩაერთვნენ ეროვნული ეკონომიკის სისტემაში. შესაბამისად, საწარმოო სექტორის რეფორმირების ძირითად მიმართულებას წარმოადგენს გაკოტრებულ საწარმოთა სანაცია და მათი ეკონომიკური მდგრადობის აღდგენის ამოცანა.

სამეურნეო საქმიანობის პრაქტიკაში უკანასკნელ დროს ფართოდ გამოიყენება ცნება „საწარმოს რესტრუქტურიზაცია“, „საწარმოს რეფორმირება“. აღსანიშნავია, რომ მრავალი მკვლევარი და პრაქტიკოსი ამ ტერმინებს თავისებურად განმარტავენ, ამდენად ადგილი აქვს ამ ცნებების აღრევას, რაც აისახება ოფიციალურ დოკუმენტებში. სავსებით ვიზიარებთ მოსაზრებას და ვუერთდებით იმ ავტორთა ჯგუფს, რომლებიც აღვნიშნავენ, რომ თანამედროვე თეორიასა და პრაქტიკაში საწარმოს რეფორმირების ცნება არის ყოვლისმომცველი და ეხება სამეურნეო საქმიანობის მრავალ მიმართულებას (მის შემადგენელ ნაწილებს, ვარიანტებს) და მათ გარდაქმნებს, სახელდობრ: რესტრუქტურიზაციას, რეორგანიზაციას (გამოყოფა, დაყოფა, მიერთება), საკუთრების ფორმისა და წარმოების ტექნოლიგიის ცვლილებას და ა.შ. . ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია სიცხადე იქნას შეტანილი ყველა ამ ცნებაში და მოხდეს მათი სტრუქტურება ერთიან სისტემაში, ვინაიდან ისინი ახასიათებენ რეფორმირების ერთიან პროცესს საქართველოს საწარმოთა განვითარების ახალ დონეზე გადასვლისათვის.

ამგვარად, რეფორმირება არის მისი საქმიანობის ყველა სფეროს ძირეული გარდაქმნა ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნით. რეფორმირების პროგრამა ადგენს ღონისძიებათა ოპტიმალურ თანმიმდევრობას გარდაქმნათა შემუშავებისა და რეალიზაციის თვალსაზრისით საწარმოს საქმიანობის ყველა სფეროში. ასევე აკონტროლებს და კორექტირებას უკეთებს აღნიშნული ღონისძიებების შესრულების მსვლელობას მიმდინარე მონიტორინგის საფუძველზე.

საწარმოთა რესტრუქტურიზაცია არის მისი საქმიანობის ყველა სფეროს სტრუქტურული გარდაქმნა არსებული ყველა სახის რესურსის (მატერიალური, შრომითი, ფინანსური, ინტელექტუალური) ეფექტიანი განაწილებისა და გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით. იგი არის საწარმოს რეფორმირების საერთო პროგრამის ნაწილი და შესაბამისად იგი შეიძლება განხილულ იქნას როგორც რეფორმირების ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმი, რომელიც განაპირობებს საწარმოს საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას.

საწარმოების გაჯანსაღების ჩატარებულმა კვლევებმა მათი საქმიანობის სხვადასხვა მიმართულების რესრტუქტურიზაციის კუთხით გაჯანსაღების ღონისძიებები ასახა სამ ძირითად მიმართულებაში. პირველი მიმართულება დაკავშირებულია საწარმოს კაპიტალზე და აქტივებზე საკუთრებითი ურთიერთობის რესტრუქტურიზაციასთან.

წარუმატებელი საწარმოს გაჯანსაღების მეორე მიმართულება დაკავშირებულია საწარმოს ორგანიზაციული საქმიანობის რესტრუქტუირებასთან, რომელსაც ახორციელებს მეწარმე.

მესამე მიმართულება გულისხმობს საწარმოს სამეწარმეო საქმიანობის მნიშვნელოვანი მხარეების კომპლექსურ რეორგანიზაციას. ეს გარდაქმნა ითვალისწინებს საწარმოს სიმძლავრეებისა და ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური სტრუქტურის შეგუებას ჩამოყალიბებულ ეკონომიკურ კონიუქტურასთან.

ამგვარად, შექმნილ სიტუაციაში სავსებით გასაგებია, რომ დღეს საწარმოთა რესტრუქტურიზაცია გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს, ერთ შემთხვევაში იგი წყდება საწარმოს მიერ საკუთარი ძალებით შემუშავებული მისი აქტივებისა და პასივების რესტრუქტურიზაციის პროგრამის საფუძველზე. ე.ი. შიდა ზემოქმედების ღონისძიებების გზით; ხოლო მეორე შემთხვევაში - გაკოტრების მექანიზმების მეშვეობით, ანუ გარე ზემოქმედების მექანიზმებით.

სადისერტაციო თემიდან გამომდინარე დეტალურად შევისწავლეთ საწარმოს ეკონომიკურ მდგრადობაზე მომქმედი ფაქტორები. ნებისმიერი საწარმო, რომელიც ფუნქციონირებს ბაზარზე, ყოველთვის ექცევა მთელი რიგი ფაქტორების ზემოქმედების გავლენის ქვეშ, რომელთაც უნარი შეწევთ გამოიწვიონ ეკონომიკური მდგომარეობის დაკარგვა და წარუმატებლობის განვითარება. ეს ფაქტორები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: გარეშე, რომელზედაც მას არ შეუძლია გავლენა მოახდინოს, ან მისი გავლენა შეზღუდულია და შინაგანი, რომელიც ყალიბდება თვით საწარმოს საქმიანობის შედეგად.

ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრებები, რომელთა მიხედვით მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ საწარმოს მდგომარეობაზე, არის ეკონომიკური ფაქტორები: კერძოდ, შემოსავლების დონე, საპროცენტო განაკვეთი, ვალუტის გაცვლითი კურსი, უმუშევრობის დონე. დანარჩენები, როგორიცაა, მაგალითად, სოციალური, იურიდიული, ტექნოლოგიური და პოლიტიკური ფაქტორები, ქმნიან დამხმარე (მეორე ხარისხოვან) გარე სამყაროს, გარემოს. სხვა მოსაზრებების მიხედვით გარემო შეიძლება დახასიათდეს ორი მახასიათებლით: საწარმოზე ზემოქმედების მომცველობით და პერიოდულობით (სიხშირით) და ეს მახასიათებლები გამოვიყენოთ საწარმოს გარემოს ახლო გარემოცვის და შორი (საერთო) გარემოს დაყოფისათვის.

საწარმოს ახლო გარემოცვა შედგება მომხმარებლებისაგან, მომწოდებლებისაგან, სამუშაო ძალისაგან, საფინანსო ინსტიტუტებისაგან, კონკურენტებისაგან და ინვესტორებისაგან. ეს ჯგუფები ეკონტაქტებიან საწარმოს უშუალოდ და შედარებით ხშირად. მეორეს მხრივ, ძირითადი (საერთო) გარემო შედგება ძალებისაგან, რომლებიც ვლინდებიან დროდადრო, არარეგულარულად. აქ ჩვენ ვგულისხმობთ სოციალურ, კულტურულ, პოლიტიკურ, დემოგრაფიულ, ეკოლოგიურ, იურიდიულ და ტექნოლოგიურ ფაქტორებს.

მეორე (ფუნქციონალური) მიდგომის თანახმად გარე გარემო ძალები იყოფა მათი ბუნების შესაბამისად. შედარებით ხშირად ვხვდებით კლასიფიკაციას, რომელიც აერთიანებს სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ტექნოლოგიურ გარემოს. საქმე გვაქვს რა ყოველივე მათგანთან, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ არსებითი განსხვავება უახლოეს (უშუალო) გარემოცვასა და საერთო გარემოს შორის. ამიტომ პირველი კლასიფიკაცია არ ეწინააღმდეგება მეორეს, არამედ შეირჩევა დასმული ამოცანიდან გამომდინარე საერთო მოსაზრებით .

ეკონომიკურ ლიტერატურაში გვხვდება სავსებით განსხვავებული მოსაზრებები საწარმოს წარუმატებლობის ბუნების და მისი გამომწვევი ფაქტორების შესახებ.

თუ ვიხელმძღვანელებთ ა. ხოსკინგის მიერ შემოთავაზებული მეწარმეობის მოდელით, შინაგანი ფაქტორები დაკავშირებულია საწარმოს მხრიდან სამეწარმეო ფუნქციების შესრულების არადამაკმაყოფილებელ ორგანიზაციასთან .

ცხადია, საწარმოს წარუმატებლობის სხვადასხვა დონისათვის სხვადასხვა ფაქტორის გავლენის ხარისხი იქნება არაერთგვაროვანი. ამასთან, მაკრო და მიკრო გარემოს ფაქტორების ზემოქმედების

მექანიზმი სამეურნეო სუბიექტის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის განვითარების პროცესზე ყველა სიტუაციისათვის შეიძლება იყოს მსგავსი. ეს მსგავსება გამოწვეულია სხვადასხვა დონის ფაქტორების ურთიერთზემოქმედების თავისებურებებით. საწარმოს მიერ ეკონომიკური მდგრადობის დაკარგვის საქმეში არსებით როლს ასრულებს რიგი გარეშე გარემოებები. ზოგიერთი შეფასების მიხედვით მდგრადი ეკონომიკური სისტემის მქონე ქვეყანაში გარეშე ფაქტორები 1/3-ით განაპირობებენ წარუმატებლობის ჩამოყალიბებას .

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებობს ამ ფაქტორების კლასიფიკაციის სხვა ვარიანტებიც, რომლებიც ხელს უწყობენ საწარმოების წარუმატებლობის წარმოქმნას. ასე მაგ: გ.ბ. კლეინერი, ვ.ლ. ტამბოვცევი და რ.მ. კაჩალოვი გვთავაზობენ შემდეგ კლასიფიკაციას :

- მაკროეკონომიკური ფაქტორები განსაზღვრავენ მაკროეკონომიკური გარემოს ხასიათს და წარმოიქმნებიან მაკროეკონომიკური რეგულირების შედეგად.
- მეზოეკონომიკური ფაქტორები წარმოიქმნება დარგების ან ვერტიკალური საწარმოო კომპლექსების ქცევასთან დაკავშირებით.
- მიკროეკონომიკური ფაქტორები წარმოიქმნება მიკროეკონომიკურ დონეზე და ასახავს თვით საწარმოების განვითარებას და მათ ურთიერთდამოკიდებულებას.
- ნანოეკონომიკურ ფაქტორებს მიეკუთვნება საწარმოს მუშაკების და მომხმარებლების - ფიზიკური პირების ეკონომიკური აზროვნების თავისებურებები და ქცევა.

ვ.ა.ჩერნოვი მმართველობით დონეზე წარუმატებლობის ჩამოყალიბების ხელშემწყობ ფაქტორების სამ ჯგუფს გამოყოფს :

- მმართველობითი (მარეგულირებელი) ფაქტორები, რომლებიც ახასიათებენ კოლექტივის მუშაობის ხარისხს, წარმოების და შრომის ორგანიზაციის დონეს, მმართველობითი მუშაობის ხარისხს, (რესურსების გამოყენების დონეს) სამეურნეო პროცესის ეფექტიანობას, ე.ი. რომელზედაც შეიძლება ზემოქმედება წარმოების დონეზე.
- პირობითად რეგულირებადი (ძნელად სამართავი) ფაქტორები და პირობები, რომლებიც დამოკიდებულია საწარმოს ფუნქციონირების წინა პერიოდთან (ძირითადი საშუალებების მოცულობა და სტრუქტურა, წარმოების ტექნიკური დონის მახასიათებლები, საწარმოო პერსონალის სტრუქტურა და ა.შ.).
- არამმართველობითი (არარეგულირებადი) ფაქტორები, რომელთა შეცვლა არ შეუძლია მართვის სუბიექტს (კლიმატური, გეოგრაფიული, პოლიტიკური, პროდუქციის რეალიზაციის პირობები და ა.შ.).

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ კლასიფიკაციას თავისი ღირებულება გააჩნია, რამდენადაც ფაქტორების მთელ ერთობლიობას განიხილავენ სხვადასხვა თვალსაზრისით. ზემოთქმულიდან ირკვევა, რომ საწარმოს წარუმატებლობის მოვლენას ადგილი აქვს საბაზრო ურთიერთობაზე ორიენტაციის ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაში. ეკონომიკური მდგომარეობის დაკარგვის პროცესი და წარუმატებლობის განვითარება აუცილებელია განხილულ იქნას სამეურნეო სუბიექტის ზარალიანობის გარდაქმნის პრიზმაში, მისი შინაგანი მდგომარეობიდან გარე ფორმაში - გაკოტრებაში. წარუმატებლობის განვითარებას ხელს უწყობს საწარმოს შიდა და გარე ფაქტორები, პირდაპირი და ირიბი ზემოქმედების გზით. ყოველი მათგანი გავლენას ახდენს საწარმოს საქმიანობის განსაზღვრულ სფეროზე. სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედება შეიძლება ავსებდნენ ერთმანეთს ან მოსდევდნენ ერთიმეორეს და ამით მრავალმხრივ აძლიერებდნენ ნეგატიურ ეფექტს.

მეორე თავში _ წარმოდგენილია საქართველოს სატრანსპორტო და მანქანათმშენებელი საწარმოების ზოგადი დახასიათება. როგორც ცნობილია ნებისმიერი დარგის განვითარების დონე კარგად ვლინდება მისი მონაწილეობით ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში. ანალიზით დადგინდა, რომ ამ მხრივ ტრანსპორტის სფერო მშპ-ში მისი ხვედრითი წილის მიხედვით მეტად ცვალებადია რაც განაპირობა დარგის განვითარების ძირითადი მაჩვენებლების არათანაბარზომიერმა ცვლილებამ. ასე, მაგალითად, ტრანსპორტის ყველა სახეობის მიხედვით ტვირთის გადაზიდვის მოცულობა გაზრდილია, თუმცა ზრდა შეინიშნებოდა 1996-2006 წლების მანძილზე, ხოლო შემდგომ 2007 და 2008 წლებში აღნიშნული მაჩვენებელი შემცირებულია 2006 წელთან შედარებით შესაბამისად 116.4 და 888.4 ათ. ტონით. ასევე შემცირებულია ტვირთბრუნვა 2008 წელს 1996 წელთან შედარებით 248.9 მლნ. ტონა კმ-ით.

მიუხედავად აღნიშნულისა, სატრანსპორტო სისტემაში 1997-2008 წლებში მშპ ზრდის ტემპით ხასიათდება. ამ პერიოდში ქვეყნის ეკონომიკური ზრდის საშუალო პარამეტრზე (6.6%) წინმსწრები ტემპით იზრდებოდა მშპ ტრანსპორტში (თითქმის 2.1-ჯერ; 14.0%). აღსანიშნავია, რომ ტრანსპორტის სწრაფი ტემპით განვითარება უპირველეს ყოვლისა საქართველოს ხელსაყრელ გეოპოლიტიკურ მდგომარეობას უკავშირდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მშპ-ის საერთო მოცულობაში ტრანსპორტის ხვედრითი წილი 1996-2002 წლებში იზრდებოდა. 2002 წელს დარგში მშპ 1996 წელთან შედარებით გაიზარდა თითქმის 4.8-ჯერ, თუმცა შემდგომ ექვსი წლის განმავლობაში მისი ხვედრითი წილი

მშპ-ში შემცირდა და შეადგინა მხოლოდ 6.6%, რაც დარგის არასტაბილურ განვითარებაზე მიუთითებს, ასევე, ამასთან ერთად ასეთი მდგომარეობა აღრიცხვიანობის მოუწესრიგებლობითაც უნდა აიხსნას.

ძირითადი ყურადღება გამახვილებულია საქართველოს მანქანათმშენებლობის კომპლექსზე.

თამამად უნდა ითქვას, რომ ძალზე კატასტროფული მდგომარეობაა შექმნილი მანქანათმშენებლობის დარგში. მანქანათმშენებლობა ქვეყნის სამრეწველო კომპლექსის წამყვანი დარგია. მის პოტენციალზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ეროვნული მეურნეობის ტექნიკური და ტექნოლოგიური აღჭურვის დონე და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მანქანათმშენებლობის დარგში ისევე, როგორც საქართველოს მთელს მრეწველობაში და მთლიანად ეკონომიკაში მძიმე ვითარება შეიქმნა. დარგი მართვის ღრმა კრიზისს განიცდის.

1990 წელს მანქანათმშენებლობის წილად მოდიოდა მრეწველობის პროდუქციის 14.3%, ძირითადი სამრეწველო-საწარმოო ფონდების ღირებულების 17.7%, სამრეწველო საწარმოო პერსონალის რიცხოვნობის - 25.3%. მანქანათმშენებელი მრეწველობის განვითარებამ საქართველოში ხელი შეუწყო მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის გაუმჯობესებას, ნაკლებად ლითონტევადი პროგრესული დარგების -ხელსაწყოთმშენებელი, ელექტროტექნიკური მრეწველობის, რადიოელექტრონული მრეწველობის განვითარების გზით. მანქანათმშენებლობის შრომატევადი დარგების განვითარება შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა. თუ 1960 წელს მანქანათმშენებელი ქარხნები ძირითადად თავმოყრილი იყო თბილისში, 1991 წლისათვის ამ დარგის საწარმოები გვხვდება ქუთაისში, რუსთავში, ბათუმში, ფოთსა და საქართველოს სხვა ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში.

1991 წლიდან მოყოლებული დღემდე საქართველოს მანქანათმშენებლობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. ამ პერიოდიდან თანდათანობით შემცირდა წარმოების მოცულობა. 2008 წელს მან შეადგინა 1991 წლის 15.3%, თუმცა 1996-2008 წლების პერიოდში წარმოების მოცულობა გაიზარდა 5.1-ჯერ. მანქანათმშენებლობის ხვედრითი წილი მრეწველობის პროდუქციის საერთო მოცულობაში 6.9%-მდე დაეცა, რაც დარგის დაბალ განვითარებაზე მიუთითებს .

საქართველოს მანქანათმშენებელ საწარმოთა საერთო რაოდენობიდან პრივატიზებულია და სააქციო საზოგადოებად

გარდაიქმნა 76. მანქანათმშენებლობის 12 საწარმო არ ექვემდებარება პრივატიზაციას სამხედრო დანიშნულების პროდუქციის წარმოების გამო.

მანქანათმშენებლობის მრეწველობაში პრივატიზებული საწარმოების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ დარგში მეტად რთული ეკონომიკური მდგომარეობაა. კერძოდ, 1991-1997 წლებში ლითონსაჭრელი ჩარხების წარმოება შემცირდა 1568 ცალიდან 57-მდე, სატვირთო ავტომობილები - 5736 ცალიდან 209-მდე, საყოფაცხოვრებო გაზქურები - 32 ათასი ცალიდან 2.6 ათას ცალამდე, ცვლადი დენის ელძრავები - 187.7 ათასი ცალიდან 5.6 ათას ცალამდე, მცირე სიმძლავრის ელძრავები - 605 ათასი ცალიდან 1 ათას ცალამდე.

პრივატიზებული საწარმოების 40% უმოქმედოა, ზოგიერთის ამოქმედების პერსპექტივაც არ არის. მიუხედავად ამისა, საქართველოს მანქანათმშენებლობაში 2008 წელს წინა წლებთან შედარებით პროდუქციის მოცულობა გაიზარდა, კერძოდ, 1996 წელთან შედარებით - 5.1-ჯერ, 2004 წელთან - 3.4-ჯერ, 2005 წელთან - 2.6-ჯერ, 2006 წელთან - 1.9-ჯერ, 2007 წელთან - 23.3%-ით. მაგრამ ამავე პერიოდში შემცირდა პროდუქციის მოცულობა სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეი მანქანათმშენებლობაში - 55.3%-ით, ხელსაწყოთმშენებლობაში - 11.2%-ით, ჩარხთმშენებლობასა და საინსტრუმენტო მრეწველობაში - 6.4%-ით, ელექტროტექნიკურ მრეწველობაში - 2%-ით.

მანქანათმშენებლობის წარმოების დაცემის მთავარი მიზეზებიდან აღსანიშნავია ნედლეულის უქონლობა, ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილი ტექნოლოგიური მოწყობილობები, რომლებიც საჭიროებენ ტექნიკურ გადაიარაღებას.

მანქანათმშენებლობაში ამჟამად შექმნილი ვითარება პრივატიზებული საწარმოების რესტრუქტურიზაციას მოითხოვს. ბაზარზე არსებული ვითარება საწარმოებს აიძულებს ან აღორძინდნენ, ან გაკოტრდნენ, ან შეწყვიტონ ფუნქციონირება, ან გაყიდონ თავიანთი აქტივები, ან დაიშალონ დამოუკიდებელ ერთეულებად, ან შეუერთდნენ სხვა საწარმოებს.

სადისერტაციო ნაშრომში სს `ელმავალმშენის~ მაგალითზე ჩატარებულია ეკონომიკური მდგრადობის დიაგნოსტიკა, რისთვისაც გამოყენებულია მდგრადობის მაჩვენებლები.

ეკონომიკური მდგომარეობის დიაგნოსტიკის სისტემის ძირითად ამოცანათა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ:

1. შიდა და გარე გარემოში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება და საწარმოში წარუმატებლობის განვითარების დროული აღმოჩენა.

2. შესაძლო გაკოტრების უწყვეტად მოქმედი პროცესის შეფასება მიღებული ინდიკატორების კომპლექსის რეგულარული ანალიზისა და გამოთვლების გზით საწარმოს შიდა და გარე სფეროს შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების საფუძველზე.
3. საინფორმაციო ბაზის ფორმირება ეფექტური მმართველობითი გადაწყვეტილებებისათვის, როგორც წარუმატებლობის პროცესის წარმოშობის დაუშვებლობისათვის, ისე გამოჯანსაღების სტრატეგიის დამუშავებისათვის მისი შედეგების რეალიზაციის შემდგომი ანალიზით.

წარუმატებლობის დიაგნოსტიკისათვის ეკონომიკურ ლიტერატურაში პირველ რიგში განიხილება ფინანსური ანალიზის მეთოდი. მაგრამ ეს სწორია მხოლოდ ნაწილობრივ. მართლაც, ფინანსური ქვესისტემა საწარმოს მდგომარეობის ძირითადი ინდიკატორია. წარუმატებლობის პროცესები, მიუხედავად იმისა, შიდა თუ გარე გარემოდან განვითარდნენ ისინი, ადრე თუ გვიან გამომჟღავნდება ფინანსურ ქვესისტემაში. ამავე დროს მხოლოდ ფინანსური ანალიზის მეთოდის გამოყენებით, საწარმოს ეკონომიკური მდგომარეობის დიაგნოსტიკის სისტემის წინაშე მდგომი მიზნების მიღწევისა და ამოცანების რეალიზება შეუძლებელია. საწარმოს ეკონომიკური მდგრადობის დიაგნოსტიკის სისტემის აგება არ უნდა შეიზღუდოს მხოლოდ დესკრეპტული ანალიზის მოდელის გამოყენებით, რადგან მას საფუძვლად უდევს მთელი რიგი კოეფიციენტების გამოთვლა და ახასიათებს ფუნქციონირების ისეთ სფეროებს, როგორებიცაა: საწარმოს აქტივების შემადგენლობა და განთავსება, ფინანსური რესურსების წყაროთა დინამიკა და სტრუქტურა; საკუთარი საშუალებების, კრედიტორული დავალიანების არსებობა; საბრუნავი საშუალებების არსებობა და სტრუქტურა, დებიტორული დავალიანება; გადახდისუნარიანობა.
აუცილებელია ანალიზის სხვა მოდელების და მეთოდების გამოყენება. პირველ რიგში საუბარია ღრმა ანალიტიკური სამუშაოების გატარებაზე, ინფორმაციის შესაგროვებლად ფირმის შიდა და გარე გარემოს შეფასების და პროგნოზირებისათვის.

საწარმოში ეკონომიკური მდგრადობის დიაგნოსტიკის ფორმულირებული სისტემის ჩარჩოებში საჭიროა გამოვყოთ ორი ძირითადი მიმართულება, რომლებიც განსხვავდებიან გამოყენებული მეთოდების სისტემით და გამოყენებული ინფორმაციის მასშტაბით. ასეთებად მიგვაჩნია:
- ანალიტიკური (მმართველობითი) დიაგნოსტიკა, რომელიც თავის თავში მოიცავს წარუმატებლობის განვითარების პროგნოზირებას;

- ფინანსური დიაგნოსტიკა, იგი მოიცავს საწარმოს ფინანსური ქვესისტემებიდან მოპოვებული ინფორმაციის შეგროვებას და ინტერპრეტაციას.

საქართველოს უმეტეს საწარმოებში ანალიტიკური (მმართველობითი) დიაგნოსტიკა შედარებით ნაკლებადაა განვითარებული. ამის მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ კვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობა და ანალიტიკური ინსტრუმენტების განუვითარებლობა, რომელიც სამუშაოს ეფექტურად ორგანიზების საშუალებას იძლევა. ამასთან ერთად, "სულ უფრო ფართოდ გამოიყენება სუსტი სიგნალების დიაგნოსტიკა [30]. დიაგნოსტიკის ამ მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ დროულად იქნას განსაზღვრული სუსტი სიგნალები - კრიზისული სიტუაციის დადგომის ადრეული და არაზუსტი ნიშნები და დროულად მოახდინონ მათზე რეაგირება. სუსტი სიგნალების დიაგნოსტიკის აუცილებლობა წარმოიშვება მაშინ, როცა საწარმოში არასტაბილურობის დონე საკმაოდ მაღალია.

წარუმატებლობის დიაგნოსტიკის სისტემაში ფინანსური დიაგნოსტიკა ანალიტიკურთან შედარებით უფრო გავრცელებული და გაცილებით ხშირად გამოყენებული მიმართულებაა. ეს აიხსნება უკანასკნელ პერიოდში ეკონომიკურ ლიტერატურაში აღნიშნული პრობლემის მნიშვნელოვანი კვლევებით, ასევე ფინანსური დიაგნოსტიკის - ფინანსური ანგარიშგებით ინფორმაციული ბაზის ჩამოყალიბების ზუსტი წესების არსებობით. დღეისათვის ფინანსური დიაგნოსტიკის ძირითადი უპირატესობა ანალიტიკურთან შედარებით - ეს არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობის დონის და მისი განვითარების ტენდენციების რაოდენობრივი შეფასების შესაძლებლობა.

დღეისათვის ეკონომიკურ პერიოდიკაში ხშირად დისკუსიის საგანს წარმოადგენს იმ კოეფიციენტების რაოდენობა, რომლებიც გამოიყენება საწარმოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ანალიზში. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ისინი მეტისმეტად ბევრია. გასათვალისწინებელია, რომ ლიკვიდობის და მდგრადობის კოეფიციენტების დიდი ოდენობის გარდა, გაიანგარიშება რენტაბელობის, საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის, ფონდუკუგების და სხვა კოეფიციენტები. არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც კოეფიციენტების რიცხვი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის განსაზღვრისათვის არ უნდა იყოს შვიდზე მეტი, რადგანაც თუ კი დაკვირვების ობიექტის რიცხვი აღემატება შვიდს, მაშინ მათზე ადამიანური კონტროლი ადვილად იკარგება (მხედველობაშია სპეციალური მომზადების არ მქონე ადამიანი).

არსებობს უფრო რადიკალური მოსაზრებები, რომლის მიხედვითაც კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შეფასებისათვის საკმარისია ოთხი მაჩვენებელი: ფინანსური მდგომარეობა, გადახდისუნარიანობა, საქმიანი აქტივობა და მომგებიანობა. ამასთან, არის მოსაზრება, რომ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების მაჩვენებლების რიცხვმა შეიძლება 100-ს მიაღწიოს. მაგრამ ეს სჭირდებათ ძალზე ვიწრო სპეციალისტებს და გამოუსადეგარია საწარმოს ხელმძღვანელობისათვის უშუალოდ წარმოებაში. დავა მაჩვენებელთა რიცხვის შესახებ რომლითაც უნდა შემოვიფარგლოთ არ გადაწყდება მანამ, სანამ დაინტერესებული მხარეები არ დარწმუნდებიან, რომ საწარმოს ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისათვის მაჩვენებლები უნდა წარმოადგენდეს არა ნაკრებს, არამედ სისტემას, ე.ი. ისინი არ ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს, არ იმეორებდნენ ერთმანეთს, არ ტოვებდნენ "თეთრ ლაქებს" საწარმოს საქმიანობაში.

საწარმოს ეკონომიკური მდგომარეობის ფინანსურ დიაგნოსტიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ფინანსური ანალიზის საკითხებს. ფინანსური ანალიზის მიზანია საწარმოს მაქსიმალური მომგებიანობის მიღწევის რეზერვების გამოვლენა. პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ამსახველი შეფარდებითი ანალიტიკური კოეფიციენტები, რომლებიც გვიჩვენებენ ფინანსურ მაჩვენებელთა სისტემაში ჩამოყალიბებულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს და ამ დამოკიდებულებათა გავლენას საწარმოს ფინანსურ საქმიანობაზე.
ანალიტიკური კოეფიციენტების საშუალებით საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზი შემდეგი მიმართულებით ხორციელდება :

1. ფირმის საქმიანი აქტივობის ანალიზი;
2. ფირმის ფინანსური მდგრადობის (სტაბილურობის) ანალიზი;
3. ფირმის ლიკვიდობის ანალიზი;
4. საბაზრო აქტიურობის ანალიზი;
5. რენტაბელობის ანალიზი.

მოცემული კოეფიციენტების სისტემის უპირატესობა, ჩვენი აზრით, არის მათი გაანგარიშების სიმარტივე, მაგრამ საწარმოს წარუმატებლობის გამოვლენისათვის და გაკოტრების პროგნოზირებისათვის მხოლოდ ამ კოეფიციენტების გამოყენებას რიგი სერიოზული ნაკლოვანებები გააჩნია (ფართოდაა წარმოდგენილი დისერტაციაში). რამაც შეიძლება გამოიწვიოს დიაგნოზის არასწორი დასმა და ეფექტურად მომუშავე საწარმო ვაღიაროთ გაკოტრებულად

ან წარმატებულად, თუმცა სინამდვილეში საქმის ვითარება სულ სხვანაირადაა.

ეკონომიკურ ლიტერატურაში მთელი რიგი სწავლული ეკონომისტების მიერ წარმოდგენილია ფირმის ფინანსური მდგომარეობის ამსახველი ანალიტიკური კოეფიციენტები. მათ შორის ყურადსაღებია პროფესორების რ.კაკულიას, ლ.ბახტაძის, გ.თუთბერიძის, ა. სისვაძის, გ.ცაავას ნაშრომები, რომლებიც გვთავაზობენ ფინანსური მაჩვენებლების კლასიფიკაციას. რა თქმა უნდა, მასში შეტანილია ყველა ის მნიშვნელოვანი გასაანგარიშებელი კოეფიციენტები, რომლებიც ახასიათებენ საწარმოს ფინასურ მდგომარეობას, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს კლასიფიკაცია სრულყოფას საჭიროებს, ვინაიდან არ მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან მაჩვენებლებს, როგორიცაა გადახდისუნარიანობა, საბრუნავი კაპიტალის რენტაბელობა, ინვესტიციების რენტაბელობა.

მიგვაჩნია, რომ სავსებით სამართლიანია უცხოელი ეკონომისტების ლ.ავრაშკოვის, ვ.ადამჩუკის, ო.ანტონოვას პოზიცია იმის შესახებ, რომ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია მისი გადახდისუნარიანობის შეფასება. მათივე აზრით აუცილებელია საწარმოს გადახდისუნარიანობის დინამიკის შესწავლა წმინდა საბრუნავი კაპიტალის ცვლილების შესაბამისად.

ეკონომიკური ლიტერატურის მიმოხილვისა და სააქციო საზოგადოება "ელმავალმშენში" ჩატარებილი ფინანსური ანალიზის საფუძველზე ჩვენ შევეცადეთ გაგვეკეთებინა ფინანსური ანალიზისათვის საჭირო მაჩვენებლების და კოეფიციენტების სისტემატიზაცია, რომელსაც აქვს შემდეგი სახე:

I ჯგუფი - წინასწარი ანალიზი:

1. გადახდისუნარიანობა;
2. წმინდა საბრუნავი აქტივები;

II ჯგუფი - საწარმოს ბალანსის ლიკვიდობის ანალიზი:

1. მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი;
2. სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი;

III ჯგუფი - საქმიანი აქტივების ანალიზი:

1. აქტივების ბრუნვადობა;
2. საბრუნავ საშუალებათა ბრუნვადობა;
3. მატერიალური მარაგების ბრუნვადობა;
4. დებიტორული დავალიანების ბრუნვადობა;

IV ჯგუფი - ფინანსური მდგრადობის ანალიზი:

1. ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტი;
2. ფინანსური დამოუკიდებლობის (ავტონომიის) კოეფიციენტი;
3. ფინანსირების კოეფიციენტი;
4. მანევრირების კოეფიციენტი;

V ჯგუფი - საწარმოს შემოსავლიანობის ანალიზი:

1. რეალიზებული პროდუქციის რენტაბელობა;
2. აქტივების რენტაბელობა;
3. საბრუნავი აქტივების რენტაბელობა;
4. ინვესტიციების რენტაბელობა;
5. საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია მისი გადახდისუნარიანობის შეფასება. საწარმოს გადახდისუნარიანობა განისაზღვრება მისი შესაძლებლობებით და უნარით დროულად და სრულად გადაიხადოს საგადასახადო ვალდებულებები. შესაბამისად, საწარმო გადახდისუნარიანია, როცა საბრუნავი აქტივების ჯამი (მარაგები, ფულადი სახსრები, დებიტორული დავალიანება და სხვა აქტივები) მეტია ან ტოლია მის გარე ვალდებულებებზე.

გადახდისუნარიანობის აღდგენის კოეფიციენტი გაიანგარიშება გამოსახულებით:

$$K_{\text{აღდგ.}} = \frac{K_{\text{დას.}} + \frac{6}{T}(K_{\text{ბოლ.}} - K_{\text{დას.}}}{2}$$

სადაც, Kბოლ.- მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი საანგარიშო პერიოდის ბოლოს;

T- თვეების რაოდენობა საანალიზო პერიოდში (12);

Kდას. - მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში;

2 - მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტის ნორმატიული მნიშვნელობა.

როცა გადახდისუნარიანობის აღდგენის K>1-ზე, მაშინ საწარმო გადახდისუნარიანია უახლოესი ექვსი თვის მანძილზე; K<1-ზე, ნიშნავს რომ საწარმო ამ დროის განმავლობაში ვერ აღადგენს გადახდიუნარიანობას.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმია მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი. იგი ახასიათებს საწარმოს უზრუნველყოფას საბრუნავი საშუალებებით

სამეურნეო საქმიანობის წარმართვისათვის და ვადიანი ვალდებულებების დროულად დაფარვისათვის. მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი K განისაზღვრება საწარმოს მიმდინარე აქტივების ფაქტიური ჯამის შეფარდებით ვადიანი ვალდებულებების ჯამთან შემდეგი ფორმულით:

$$K = \frac{\sum A}{\sum P}$$

სადაც, A - მიმდინარე აქტივები;

P - ვადიანი ვალდებულებები.

მიღებული კოეფიციენტის მნიშვნელობა არ უნდა იყოს 2-ზე ნაკლები.

საწარმოს გადახდისუნარიანობის, ლიკვიდობის, წმინდა საბრუნავი კაპიტალის მაჩვენებლების გაანგარიშებაში გამოიყენება დებიტორული დავალიანება და მარაგები. საწარმოს ფინანსური მდგომარეობა და მისი გადახდისუნარიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწრაფად გადაიქცევა დებიტორული დავალიანება და მარაგები ნაღდ ფულად.

დებიტორული დავალიანების მდგომარეობის შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები:

- დებიტორული დავალიანების ბრუნვადობა;
- დებიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი;
- დებიტორული დავალიანების წილი საბრუნავ აქტივებში;
- საეჭვო დავალიანების წილი.

ჩამოთვლილი მაჩვენებლები გაიანგარიშება ფორმულებით:

$$\text{დებიტორული დავალიანების ბრუნვადობა} = \frac{\text{რეალიზაციიდან ამონაგები}}{\text{საშუალო დებიტორული დავალიანება}}$$

$$\text{სადაც, საშუალო დებიტორული დავალიანება} = \frac{\text{დებიტ.დავალიანება პერიოდის დასაწყისში + დებიტ.დავალიანებ პერიოდის ბოლოს}}{2}$$

$$\text{დებიტორული დავალიანების}=\frac{360}{\text{დებიტორული დავალიანების ბრუნვადობა}}$$

დაფარვის პერიოდი

$$\text{დებიტორული დავალიანების}=\frac{\text{დებიტორული დავალიანება}}{\text{საბრუნავი აქტივები}}x100\%$$

წილი საბრუნავ აქტივებში

$$\text{საეჭვო დავალიანებ წილი}=\frac{\text{საეჭვო დებიტორული დავალიანება}}{\text{დებიტორული დავალიანება}}x100\%$$

ცხადია, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასება წარმოუდგენელია მათი საქმიანობის ანალიზის გარეშე, რისთვისაც აუცილებელია მთელი რიგი ფინანსური მაჩვენებლების გაანგარიშება. ეს კი ხორციელდება ფინანსურ მდგომარეობაზე მონიტორინგით.

მონიტორინგი (ლათ. მონიტორ - შემხსენებელი, მეთვალყურე) - ეკონომიკური ობიექტისადმი უწყვეტი მეთვალყურეობა, მათი საქმიანობის ანალიზი როგორც მართვის შემადგენელი ნაწილი. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგი ანტიკრიზისული რეგულირების სისტემის ერთ-ერთი ელემენტია. იგი არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ მონაცემების შეგროვების და მაჩვენებლების გაანგარიშების სისტემა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია საწარმოს გაკოტრების ნიშნების დიაგნოსტირება და თვალყურის დევნება ცვლილებების ტენდენციებზე და დინამიკაზე, ასევე საწარმოს გადახდისუნარიანობის გათვალისწინება იმისათვის, რათა ამის საფუძველზე მიღებულ იქნეს ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილება.

საქართველოში მონიტორინგი ხორციელდება 1999 წლიდან. მონიტორინგის ჩატარება ტერიტორიული ორგანოებისა და აგენტების, ასევე ფინანსთა სამინისტროს აპარატის ფუნქციაა. ისინი ყოველწლიურად ადგენენ მონიტორინგს დაქვემდებარებული საწარმოების ჩამონათვალს, რომელშიც შეჰყავთ მსხვილი, ეკონომიკურად და სოციალურად მნიშვნელოვანი საწარმოები. დღეს საქართველოში შექმნილია საწარმოების მონიტორინგის და ფინანსური მდგომარეობის შეფასების მუდმივმომქმედი სისტემა. ტექნოლოგიური თვალსაზრისით მონიტორინგი არის საწარმოს კრიზისის დადგომის

ალბათობის ან რეალობის განსაზღვრის სპეციალურად ორგანიზებული მოქმედება.

გაკოტრების პროგნოზირებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ინტეგრარული მაჩვენებლები, რომლებიც გაანგარიშებულია მულტიპლიკატური დისკრიმინანტული ანალიზის (მდა) მეთოდით. ფაქტორული ანალიზის კლასიკური მაგალითებია: მ.ა.ფედოტოვის ორ ფაქტორული მოდელი, ე.ალტმანის Z-ანგარიში, რ.ს.სიფულინისა და გ.გ.კადიკოვას ექვს ფაქტორული მოდელი, მ.გოლდერის და ჟ.კონანის გადასახადების შეფერხების ალბათობის შეფასების მოდელი, ტაფფლერის, ტიშოუს, ლისას და სხვათა ოთხ ფაქტორული მოდელები. გაკოტრების დიაგნოსტიკის ყველაზე მარტივი მოდელია ორ ფაქტორული ანალიზი, რომლის გამოყენება გამოკვლეულია მ.ა.ფედოტოვის შრომებში . მოდელის აგებისას გათვალისწინებულია ორი მაჩვენებელი, რომელზედაც დამოკიდებულია გაკოტრების ალბათობა, მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი (დაფარვის) და ნასესხი სახსრების აქტივებთან შეფარდების კოეფიციენტი. დასავლეთის პრაქტიკის საფუძველზე, თითოეული ამ ფაქტორებიდან გამოვლენილ იქნა შეწონილი კოეფიციენტები.

დასავლეთის ფირმებში წარმატებით გამოიყენება გაკოტრების ალბათობის ორფაქტორული მოდელი, ასევე ალტმანის 5–ფაქტორული Z–ანგარიშები, თუმცა საქართველოში გაკოტრების დიაგნოსტიკის დისკრიმინანტული მრავალფაქტორული მოდელების პრაქტიკაში გამოყენება თანამედროვე პირობებში ვერ ხერხდება შემდეგი ფაქტორების გამო:

1. არ არსებობს მეთოდიკა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია მოდელის გამოყენება ფინანსური ანგარიშგების ეროვნული სტანდარტის პირობებში;
2. კორპორაციული ფასიანი ქაღალდების ბაზრის არასრულყოფილება და არაორგანიზებულ საფონდო ბაზარზე აქციის კურსის ღირებულების არასაიმედო შეფასება;
3. საწარმოს აქციების საბალანსო და საბაზრო ღირებულების შეუსაბამობა, რამდენადაც ამ შესაბამისობის მიღწევის მეთოდებს - ცენტრალიზებული წესით აქტივების სპონტანური გადაფასება ერთიანი კოეფეიციენტებით - არ შეუძლიათ უზრუნველყონ აქტივების საბალანსო და საბაზრო ღირებულების რეალური შესაბამისობა.

თანამედროვე საქართველოში დისკრიმინანტული ფაქტორული მოდელების პრაქტიკული გამოყენების მცდელობამ შეიძლება გამოიწვიოს ამ უკანასკნელის დისკრიმინაცია. ზემოაღნიშნულიდან შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის მწვავედ დგას აუცილებლობა

იმისა, რომ შემუშავდეს საწარმოთა მდგომარეობის დიაგნოსტიკის ახალი მეთოდიკა.

სს "ელმავალმშენისათვის" განზოგადებულ მაჩვენებლად უპირველეს ყოვლისა შეგვიძლია მივიჩნიოთ პროდუქციის თვითღირებულება. პროდუქციის თვითღირებულებაზე მოქმედებს როგორც შიგა, ასევე გარე ფაქტორები. სს"ელმავალმშენიდან" მოგვეცა საშუალება მოგვეძია სტატისტიკური მასალები ისეთ მაჩვენებლებზე როგორიცაა: გამოშვებული პროდუქციის მოცულობა, კაპიტალური დანახარჯები, სახელფასო ფონდი, შრომის მწარმოებლურობა და სხვა. ნაშრომის შესრულებისას ვისარგებლეთ რეგრესიული ანალიზის მეთოდებით. გამოვიყენეთ კორელაციური სიმჭიდროვის განმსაზღვრელი მათემატიკური მიდგომები, ჩამოვაყალიბეთ ფირმის ფინანსური მდგრადობის განმაზოგადებელი ამოცანა. იგი გადაწყვეტილია ფაქტორული ანალიზის საფუძველზე ექსტრაპოლაციის მეთოდით, რისთვისაც გამოყენებულია გაუსის მეთოდი.

მათემატიკური მოდელი სს "ელმავალმშენის" პროდუქციის თვითღირებულების მოცულობისათვის იქნება:

$$Y=5.879*X1–0.327*X2-5241.377*X3-8.562*X4+6.568*X5+1.303*X6-0.400*X7 +4.999 *X8$$

სადაც:

y- პროდუქციის თვითღირებულებაა;

a_1-გამოშვებული პროდუქციის მოცულობა;

a_2-წლიური სახელფასო ფონდი;

a_3-შრომის მწარმოებლურობა;

a_4-მატერიალური მარაგების საშუალო წლიური ღირებულება;

a_5-წლიური წმინდა მოგება;

a_6-შემოსავალი რეალიზაციიდან;

a_7- ძირითადი კაპიტალის საშუალო წლიური ღირებულება;

a_8-დებიტორული დავალიანება;

თვითღირებულების მათემატიკური მოდელი საშუალებას იძლევა დავასკვნათ რომ:

1 - პროდუქციის მოცულობის გაზრდა 1 ლარით იწვევს თვითღირებულების ზრდას 5.879 ლარით;

2 - სახელფასო ფონდის 1 ლარით ზრდა იწვევს პროდუქციის თვითღირებულების გაზრდას 32.7 თეთრით;

3 - შრომის მწარმოებლურობის გაზრდა 1 ლარით იწვევს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას 5241.377 ლარით;
4 - მატერიალური მარაგების საშუალო წლიური ღირებულების ზრდა 1 ლარით იწვევს 8.567 ლარით პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას;
5 - წლიური წმინდა მოგების გაზრდა 1 ლარით იწვევს 6.568 ლარით პროდუქციის თვითღირებულების გაზრდას;
6 - რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების ზრდა 1 ლარით იწვევს პროდუქციის თვითღირებულების ზრდას 1.303 ლარით;
7 - ძირითადი კაპიტალის საშუალო წლიური ღირებულების გაზრდა 1 ლარით იწვევს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას 40 თეთრით;
8 - დებიტორული დავალიანების გაზრდა 1 ლარით პროდუქციის თვითღირებულებას გაზრდის 4.999 ლარით.

ზემოთ მოყვანილი კორელაციური გამოკვლევით და რეგრესიული ანალიზით შესაძლებელია სს"ელმავალმშენში" პროდუქციის თვითღირებულების პარამეტრებზე მოქმედი ძირითადი ფაქტორების გამოვლენა (a_4 და a_5) და მათი მოქმედების გაძლიერება უარყოფითი სიმპტომების შესამცირებლად და დადებითის გასაძლიერებლად.

ჩატარებულმა ანალიზმა დაგვანახა, რომ ორგანიზაციაში ფინანსური კრიზისის დაძლევის ძირითადი მიმართულებებია:

- ხარჯების შემცირება;
- ორგანიზაციაში ფულადი სახსრების შემოსულობების ზრდა;
- კრედიტორული დავალიანების რესტრუქტურიზაციის ჩატარება;
- ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრა;
- საწარმოს რეორგანიზაციის ან რესტრუქტურიზაციის ჩატარება.

აუცილებელია საწარმოს ძალისხმევა დადებითი ფინანსური ნაკადების მოცულობის გადიდების მიმართულებით, რაც მომავალ პერიოდში მიიღწევა შემდეგი ძირითადი ღონისძიებების გატარების შედეგად:

- საწარმოს წმინდა შემოსავლის თანხის ზრდა ეფექტიანი ფასისმიერი პოლიტიკის გატარების შედეგად;
- ეფექტიანი საგადასახადო პოლიტიკის გატარება, რომელიც მიმართულია საწარმოს წმინდა მოგების სიდიდის ზრდაზე.

- წმინდა მოგების გადიდების მიზნით საწარმოს კრიზისული განვითარების ადექვატური დივიდენდური პოლიტიკის განხორციელება, მიმართული საწარმოო განვითარებაზე;
- საამორტიზაციო ფონდის გადიდების მიზნით ძირითადი საწარმოო ფონდების აქტიური ნაწილის დაჩქარებული ამორტიზაციის განხორციელება;
- ცვეთის ანდა გამოუყენებლობის გამო მწყობრიდან გამოსული ქონების თავისდროული რეალიზაცია;
- ეფექტიანი საემისიო პოლიტიკის განხორციელება საკუთარი კაპიტალის სიდიდის გადიდებით აქციების დამატებითი გამოშვების და სხვა გზით.

საინვესტიციო რესურსების მოხმარების სიდიდის შემცირება მომავალ პერიოდში მიიღწევა შემდეგი ძირითადი ღონისძიებების ხარჯზე:

- იმ საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის დაწყებაზე უარის თქმა, რომელიც არ არის უზრუნველყოფილი წმინდა ფულადი ნაკადების სწრაფი ზრდით, (ე.ი. რეალიზაციის და გამოსყიდვის მაღალი პერიოდით);
- ძირითადი საწარმოო ფონდების აუცილებელი სახეების და არამატერიალური აქტივების გამოყენებისათვის მოზიდვა ლიზინგის პირობებში;
- გრძელვადიანი ფინანსური დაბანდებების ფორტფელის ფორმირების დროებითი შეწყვეტა ახალი ფონდებისა და ფულადი ინსტრუმენტების შეძენის ხარჯზე;
- საბრუნავი აქტივების ნორმატივის შემცირება მათი ბრუნვის დაჩქარების და სხვათა ხარჯზე.

ძირითადი დასკვნები

საწარმოთა ეკონომიკური მდგრადობის შეფასების პრობლემის კვლევის შედეგად მიღებულია დასკვნები და დებულებები, რომელთაც მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია:

1. საწარმოს გაკოტრება ექცევა ანტიკრიზისული მართვის პროცესის და საწარმოს საქმიანობის რეგულირების გავლენის ქვეშ. ამ გავლენის არსი მდგომარეობს ნეგატიური ტენდენციების თავისდროულ გამოვლენაში და პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებაში მათ გადასალახავად, ან გავლენის შესასუსტებლად შესაბამისად მიკრო და მაკრო დონეზე.

2. ანტიკრიზისული რეგულირების სისტემა მოიცავს შემდეგ ელემენტებს, კერძოდ: ანტიკრიზისული პროცესის ნორმატიულ-სამართლებრივს, მეთოდოლოგიური უზრუნველყოფის, საწარმოს მდგომარეობის მონიტორინგს, მმართველობითი გადაწყვეტილებების და განკარგულებების მიღებას, მათი შესრულების კოორდინირებას და ორგანიზაციას, სტიმულების სისტემას და სხვა, თითოეული მათგანის ფუნქციონირება მოითხოვს შემდგომ გააზრებასა და დამუშავებას.

3. კანონი წარუმატებლობის (გაკოტრების) შესახებ დადებითი ელემენტებისა და ღირსებების მიუხედავად, შეიცავს რიგ ცალკეულ ნაკლოვანებებს, კერძოდ: შიდა წინააღმდეგობები, შეუსაბამობა დღევანდელ საქართველოს პირობებთან, ცნებათა ბუნდოვანება და არაერთმნიშვნელიანობა. დადგენილი პროცედურების რეალიზაციის მექანიზმების არარსებობა და სხვა.

4. სანაციის ფინანსური მხარდაჭერა აუცილებელია განხილული იქნას როგორც რეალური წარმოების ანტიკრიზისული ინვესტირების საფუძველი, ხოლო სანაცია, შესაბამისად, მსგავსი სახის ინვესტირების მექანიზმი, რამდენადაც, გაჯანსაღების მსვლელობაში, როგორც წესი, ადგილი აქვს წარუმატებელი საწარმოს კაპიტალური აქტივების ხარისხობრივ სრულყოფას.

5. სამრეწველო საწარმოთა რესტრუქტურიზაცია აუცილებელია და გარდაუვალია. ერთ შემთხვევაში იგი წყდება საწარმოს მიერ საკუთარი ინიციატივით შემუშავებული თავისი აქტივებისა და პასივების რესტრუქტურიზაციის პროგრამის გამოყენებით, ხოლო მეორე შემთხვევაში - გაკოტრების მექანიზმის გამოყენებით.

6. საწარმოთა რესტრუქტურიზაცია საქართველოსათვის, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს ზარალიან საწარმოთა შემცველ სამეურნეო სისტემიდან ნორმალურად ფუნქციონირებად საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პროცესს, როცა საწარმოთა

უმრავლესობა რენტაბელური ხდება და დამოუკიდებლად, ყოველგვარი ჩარევის გარეშე შეუძლია სხვა ქვეყნის საწარმოებთან კონკურენცია;

7. პრაქტიკა ადასტურებს, რომ საწარმოთა რესტრუქტურიზაციაზე დადებით გავლენას ახდენს ეკონომიკური პოლიტიკის რიგი ფაქტორების, მათ შორის პრივატიზაციის განხორციელების ოპერატიულობა. საქართველოში, ეს პროცესი დიდი გაჭიანურებით მიმდინარეობდა, რამაც საწარმოთა დამანგრეველი შედეგები გამოიწვია;

8. ბოლო ათი წლის განმავლობაში ს.ს. "ელმავალმშენის" სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შესწავლამ დაგვანახა, რომ მიუხედავად არსებული სიძნელეებისა, საწარმოს მფლობელები თანდათანობით ერკვევიან საქმიანობის ნიუანსებში და ცდილობენ გააუმჯობესონ საწარმოს საქმიანობის შედეგები;

9. რესტრუქტურიზაციის ერთ-ერთ მაჩვენებელს წარმოადგენს დადებითი ოპერატიული ნაკადების გამომუშავება. სააქციო საზოგადოება "ელმავალმშენში" ამ მხრივ მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია;

10. საინტერესოა კაპიტალის პროდუქტიულობის მაჩვენებლები ს.ს. "ელმავალმშენში". პროდუქციის წარმოება ძირითადი კაპიტალის ერთ ლარზე 2010 წელს 2006 წელთან შედარებით გაიზარდა გაიზარდა 68.7-ით გაიზარდა, 2008 წელთან შედარებით კი პირიქით 20.6 %-ით შემცირდა, ხოლო 2009 წელთან შედარებით 39.6%-ით გაიზარდა. საბალანსო მოგება საკუთარი და მოზიდული კაპიტალის ერთ ლარზე 53.5 პროცენტული პუნქტით შემცირდა. შემცირდა ასევე რენტაბელობა (საბალანსო მოგება %-ით წარმოებასთან) 15.0-დან 7.6%-მდე;

11. ს.ს. "ელმავალმშენის" საფინანსო საქმიანობის შესწავლა უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ამ საწარმოში დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს რესტრუქტურიზაციის პროცესი, თუმცა სახეზეა გარკვეული ხარვეზები და ნაკლოვანებები, რომლებიც გამოწვეულია როგორც საწარმოთა შიგნით არსებული პრობლემებით, ისე არასტაბილური გარემო პირობებით, რომელთა გავლენა მეტად მნიშვნელოვანია;

12. საწარმოს წარმატება-წარუმატებლობის შეფასებისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ საფინანსო-სამეურნეო ანალიზის ჩატარება, საჭიროა საწარმოს ფინანსური მდგომარეობა შეფასდეს კომპლექსურად. ამისათვის საჭიროა მთელი რიგი ფინანსური კოეფიციენტების გაანგარიშება, რასაც ხელს შეუწყობს დისერტანტის მიერ შემოთავაზებული მეთოდიკა ეკონომიკური მდგრადობის შეფასების შესახებ.

დისერტაციის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში:

1. ფირმაში კრიზისული სიტუაციის დადგომის ნიშნები. ჟურნალი “ტრანსპორტი”,№4(28). 2007. გვ. 57-60

2. ფირმის ეკონომიკური მდგრადობის დიაგნოსტიკა. ჟურნალი “ეკონომიკა”, №5-6, 2008. გვ. 172-175

3. ფირმის ეკონომიკური მდგრადობის ანალიტიკური დიაგნოსტიკა. ჟურნალი “ეკონომიკა”, №5-6, 2008. გვ. 212-216

4. საწარმოთა ანტიკრიზისული რეაგირების მექანიზმი მისი ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასების საფუძველზე. პ.გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე და აკადემიკოს პ.გუგუშვილის დაბადებიდან 105-ე წლისთავისადმი მიძვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, 2010წ. 8-9 ივლისი, გვ. 443-447

5. საწარმოთა ეკონომიკური სტრატეგიის ჩამოყალიბება ეკონომიკური წარმატებულობის შეფასების საფუძველზე. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი “საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის შრომები”, 29-30.IV .2010, გვ. 278-280

6. საწარმოს ანტიკრიზისული მართვის პრობლემები. ჟურნალი “ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა”,№4 (22), 2011. გვ. 93-97

Abstract

The thesis work "The estimation of economic stability during the crisis management of transport and machine-building firms" is implemented in Georgian language, contains 156 printed pages, consists of introduction, two parts and conclusion, with attached list of bibliography and applications.

In the introduction of the work the problem of enterprises' financial stability estimation and of overcoming of their large-scale bankruptcy is set up, that stipulates the topicality of the issue. In this section the current state of problem's study, research goals and objectives, as well as the scientific novelty of the work, its theoretical and practical importance are represented.

In the first part of the work on the basis of special literature review is studied the essence of economic security (stability), also is considered the term "bankruptcy" and financial reasons causing it. It is explained, that the frequent cases of enterprises' bankruptcy in Georgia are basically caused by the imperfection of conditions necessary for the development of market economy. It is also explained, that there are serious obstacles concerning the realization of manufactured products that has a negative effect on the volume of enterprises' financial resources. Mentioned fact is in direct relation with the unemployment level in the country, that is the reason of low purchasing capacity of the greater part of population.

Besides, the small volume of production of outputs and its sale, low quality and high production expenses cause the low profitability of enterprises and sometimes even their disadvantageousness (operating at a loss).

As a result of low profitability and disadvantageousness the own current assets of enterprises are significantly reduced, some of them are completely lost, and because of it the coefficient of enterprises' financial autonomy is sensitively decreased (below 0,5), that has a negative impact on the attraction of investments.

The role of financial support in the process of unsuccessful enterprise's recovery, as well as its sources are represented in the work. Specific character of investments in the unsuccessful enterprise are characterized. Attention is focused on the basic directions (i.e. on the restructurization) of unsuccessful enterprise's recovery. Basic directions of business activity reorganization are stated here, too.

In the second part of the thesis work is given the general description of the development of transport system and machine-building field and its tendencies in Georgia. The existing economic situation in 2006-2010 in the mentioned fields is analyzed.

As it turned out, during mentioned period of time the volume of carriage by the all kinds of transportation means has increased by 61,8%, while passengers transportation has increased by 22,9%. While it should be noted that these indices has consistently increased in the 1996-2006 period, however in the course of the last three years (2006-2008) they preserve stability. Moreover, volume of carriage in 2008 is reduced by 888,4 thou. GEL in comparison with 2006, while volume of passengers transportation – by 16,5 mln. men.

From 1991 up to our days the state of Georgian machine-building industry is drastically deteriorated. Since that period of time volume of output is gradually reduced. In 2008 it comprises 15,3% of the indices of 1991, however in the 1996-2008 period volume of output has raised 5,1 times. The share of machine-building in the total volume of industrial output dropped down to 6,9% that testifies the low level of development for this field.

In should be noted that under conditions of considerable instability of business environment there are a lot of factors having impact on the financial condition of economic agents. Proceeding from this fact, among the basic tasks to be solved, that face enterprise is the formation of diagnostic system of economic status, by means of which the enterprise will be able to timely discover and to get rid of origination and further development of the process of failure thanks to preliminary management decision. It is clear that efficiency of carrying out of such measures is completely depended on that how timely will be discovered the signs of approaching failure and how masterfully will be determined the basic factors causing current negative processes.

The particular importance in the financial diagnostics of economic status of the enterprise is attached to the issues of financial analysis of business activity. The goal of financial analysis is the revelation of reserves for achievement of maximum extent of enterprise's profitability. Relative analytical coefficients, reflecting financial condition of the enterprise, are widely used in practice, and they show us cause-effect relationship established in the system of financial indicators and effect of these dependencies on the financial condition of the enterprise.

On the basis of economic literature review and carried out financial analysis of joint stock company "Elmavalsheni" the systematization of indices and coefficients necessary for financial analysis is given in the perfective aspect, that looks as follows:

I group – preliminary analysis:

1. paying capacity
2. net current assets

II group – analysis of enterprise's accounting liquidity

1. current liquidity coefficient
2. fast liquidity coefficient.

III group – analysis of business assets:

1. assets turnover;
2. current assets turnover;
3. material assets turnover;
4. debit debts turnover.

IV group – analysis of financial security:

1. financial stability coefficient
2. financial independency (autonomy) coefficient;
3. coefficient of financing;
4. coefficient of maneuvering.

V group – analysis of enterprise's profitability:

1. profitability of sold production
2. assets profitability
3. current assets profitability;
4. investment profitability;
5. owner capital profitability.

The methodology of crisis management diagnostics in the organization is represented in the thesis work, that will promote the revelation of problems and weak spots in the financial management system, representing the reasons of undesirable financial condition of the organization's activity and other negative indices.

The mathematical models of economic security (stability) are described in the work, application of which is not capable under present condition in Georgia, that's why we use current correlation coefficients of the theory of statistics for determination of production's self-cost, namely so-called "Pirson's" correlation coefficient, with the use of which the determination of basic factors acting on the parameters of production's self-cost in the JSC "Elmavalmsheni" becomes possible, as well as the amplification of their effect in order to overcome negative symptoms and to strengthen the positive ones.

In the end of the work the key activities and directions of crisis management improvement are established, namely:

- reduction of expenses;
- increase in influx of financial assets into the organization;
- carrying out of credit debt's restructurization;
- determination of organization development strategy;
- carrying out of enterprise's reorganization or restructurization.

.